



დამტკიცებულია შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“
რექტორის 17/04/2019წ. №309 ბრძანებით
შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რექტორი
ლელა ქელბერიანი



შპს „ქუთაისის უნივერსიტეტი“ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის
შედეგების შეფასება

ქუთაისი, 2019 წელი.

1. სწავლის შედეგები

მასწავლებელზე ორიენტირებული ტრადიციული მიდგომიდან ახალ, სტუდენტზე ორიენტირებულ მიდგომაზე გადასვლის შედეგად აქცენტი კეთდება არა მხოლოდ სწავლებაზე, არამედ იმაზეც თუ, რისი გაკეთება შეუძლია სტუდენტს კონკრეტული სასწავლო კურსის ან პროგრამის დასრულების შემდეგ. განაცხადი, რომელსაც სწავლის შედეგებს უწოდებენ, გამოიყენება იმის გამოსახატავად, თუ რის მიღწევას უნდა მოელოდეს სტუდენტი და როგორ უნდა მოახდინოს ამ მიღწევების დემონსტრირება. შესაბამისად, სწავლის შედეგი განისაზღვრა, როგორც განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, რას უნდა იგებდეს/იაზრებდეს და რისი დემონსტრირება უნდა უნდა შეძლოს მან სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ (ECTS, 2005).

სწავლის შედეგების განმარტება სხვადასხვა ლიტერატურის მიმოხილვისას მთელ რიგ მსგავს დეფინიციებს გვთავაზობს, რომლებიც ერთმანეთისგან არსებითად არ განსხვავდებიან, თუმცა ნათელია რომ სწავლის შედეგები ფოკუსირებულია სტუდენტის მიღწევაზე ნაცვლად ნასწავლის შინაარსისა და გვიჩვენებს თუ რისი დემონსტრირება შეუძლია სტუდენტს სასწავლო აქტივობის დასრულების შემდეგ:

- ✓ სწავლის შედეგი არის ზუსტი აღწერა იმისა თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა სწავლის შემდეგ (Bingham, 1999)
- ✓ სწავლის შედეგი არის განაცხადი იმ მოლოდინის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეეძლება სტუდენტს სასწავლო აქტივობის შემდეგ (Jenkins and Unwin, 2001)
- ✓ სწავლის შედეგი არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი გაკეთება(დემონსტრირება) უნდა შეძლოს მან სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ (ECTS Users' Guide, 2005)
- ✓ სწავლის შედეგი: განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი გაკეთება(დემონსტრირება) უნდა შეეძლოს მას სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ (Gosling and Moon, 2001)

✓ სწავლის შედეგი არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი გაკეთება (დემონსტრირება) უნდა შეეძლოს მას სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ (Donnelly and Fitzmaurice, 2005)

✓ სწავლის შედეგი არის განაცხადი სტუდენტის მოლოდინის შესახებ, თუ რა უნდა იცოდეს, გაიგოს/გაიაზროს და/ან რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მას სასწავლო პერიოდის დასრულების შემდეგ და როგორ ხდება ნასწავლის დემონსტრირება (Moon, 2002)

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სწავლის შედეგები დაყოფილია სამ განზოგადებულ სწავლის შედეგად:

- **ცოდნა და გაცნობიერება** - სწავლის ან საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ინფორმაციის, ფაქტების, პრინციპების, თეორიების, თეორიული და პრაქტიკული მეთოდების ასიმილაციის შედეგი;
- **უნარი** - კონკრეტული დავალების შესრულებისა და პრობლემების გადაჭრისათვის შესაბამისი ცოდნის გამოყენების შესაძლებლობა;
- **პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობა** - ღირებულებებითა და დამოუკიდებლობის შესაბამისი ხარისხით პირის მიერ ცოდნისა და უნარების გამოყენება) აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

აღნიშნული შედეგები გამოყოფენ სტუდენტის მიერ მიღწეულ კოგნიტურ, ქცევით და ემოციურ შედეგებს, რომლებიც ფოკუსირებულია როგორც ყოვლისმომცველ ცოდნასა და უნარებზე, და არა მცირე დეტალებზე, ასევე იმ ცოდნასა და უნარებზე, რომლებიც ცენტრალურია კურსის/პროგრამისთვის. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სწავლის შედეგები უნდა იყოს დაკვირვებადი, გაზომვადი, რეალისტური და მიღწევადი. საგანმანათლებლო პროგრამას შეიძლება ჰქონდეს 10-მდე სწავლის შედეგი, გარდა რეგულირებადი პროგრამებისა.

2. სწავლის შედეგების დაგეგმვა

სწავლის შედეგების დაგეგმვისას ხდება ახალი შედეგების ფორმულირება ან უკვე არსებულის გადამოწმება/განახლება. ამავდროულად განისაზღვრება შეფასების მეთოდები/აქტივობები, ვადები და პასუხისმგებელი პირები.

პირველ ეტაპზე თითოეული სწავლის შედეგისთვის განისაზღვრება კონკრეტული მეთოდი, რომლითაც მოხდება პროგრამის ეფექტურობის შეფასება შედეგთან მიმართებაში. შესაბამისი მეთოდების შერჩევით გაიზრდება მონაცემთა სანდოობა და პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებისთვის მათი გამოყენებადობა. აღნიშნულ პროცესში გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ პროგრამას შესაძლოა ჰქონდეს რამოდენიმე სწავლის შედეგი. მოცემულ შემთხვევაში რეკომენდირებულია ფოკუსირება იმ მნიშვნელოვან სწავლის შედეგებზე, რომლებიც წარმოადგენენ პროგრამის გუნდის ან სხვა დაინტერესებული მხარეების მაქსიმალური ინტერესის საგანს.

სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ძალიან გამარტივდა ბენჟამინ ბლუმის ნაშრომების გამოყენებით. მისი აზრით სწავლა იყო პროცესი, ხოლო მასწავლებლების მოვალეობა იყო დაეგემათ გაკვეთილები და საკითხები ისე, რომ დახმარებოდნენ სტუდენტებს დაგეგმილი ამოცანების მიღწევაში. ბლუმის მიერ შემეცნების დონეები გამოიყოფა ცოდნისა და ინტელექტუალური უნარების ექვს პროგრესულ დონედ: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, შეფასება და შექმნა. მოცემული დონეების მიხედვით სწავლის შედეგების ჩამოყალიბებისას შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგი ზმნები:

ცოდნა – სტუდენტებს სთხოვენ ამოიცნონ და გაიხსენონ ინფორმაცია, მეთოდები, პროცესები, პარამეტრები ან ცნებებისა და იდეების გარკვეული რაოდენობა

საკვანძო ზმნები: განსაზღვრა, ჩამოთვლა, ამორჩევა, მოძიება, დასახელება, გახსენება, დაკავშირება, ჩვენება, გამოსახვა, ამორჩევა, თქმა, მონიშვნა, და ა.შ.

გაგება – სტუდენტებს სთხოვენ, რომ მაგალითი მოიყვანონ, კლასიფიცირება გაუკეთონ, შეაჯამონ და ახსნან ესა თუ ის თეორია, მოვლენა, საკითხი. იმის საჩვენებლად, რომ მათ ესმით აღნიშნული საკითხი, მათ უნდა შეეძლოთ ერთი და იგივე ინფორმაციის სხვადასხვანაირად გამოთქმა ან დამატებითი მაგალითების მოყვანა.

საკვანძო ზმნები: კლასიფიცირება, შედარება, კონტრასტი, ახსნა, ილუსტრირება, ინტერპრეტირება, გამოკვეთა, დაკავშირება, პერიფრაზირება, შეჯამება და ა.შ.

გამოყენება - სტუდენტებს სთხოვენ ცოდნის გამოყენებასა და იმპლემენტირებას. მათ სთხოვენ ერთი და იგივე ცნება მოარგონ ახალ მოცემულობას, სფეროს (ბუნებრივ გარემოში, საკლასო ოთახისა და ლაბორტორიული მოცემულობის საპირისპიროდ) ან რეალურ პრობლემას.

საკვანძო ზმნები: გამოყენება, ექსპერიმენტირება, მოდელირება, ორგანიზება, ამორჩევა, გადაჭრა და ა.შ.

ანალიზი - სტუდენტებს სთხოვენ განასხვავონ, გამოყონ, ჩაშალონ, შეადარონ და კონტრასტებს გაუსვან ხაზი. მათ სთხოვენ შეადარონ განსხვავებული ცნებების მახასიათებლები, პროცესები ან მოვლენები, აზრების გამოთქმისა და მსჯელობის გარეშე.

საკვანძო ზმნები: კონტრასტი, ანალიზი, კლასიფიცირება, აღმოჩენა, გამოყოფა, გაყოფა, შემოწმება, ინსპექტირება, გამარტივება და ა.შ.

შეფასება - სტუდენტებს სთხოვენ გააკრიტიკონ, დატესტონ, განსაჯონ, შექმნან და ჰიპოთეზები გამოთქვან. მათ სთხოვენ განიხილონ ცნების, პროცესისა თუ იდეის სირთულეები და შეზღუდვები. ასევე, მათ სთხოვენ ჩამოაყალიბონ აზრი რაიმეს შესახებ და შემდეგ დაამტკიცონ ან მხარი დაუჭირონ ამ აზრს.

საკვანძო ზმნები: განსაზღვრა, შეჯამება, გადაწყვეტა, დაცვა, უარყოფა, შეფასება, აღრიცხვა, გაზომვა, უპირატესობის მინიჭება და ა.შ.

შექმნა - სტუდენტებს სთხოვენ ჩამოაყალიბონ, შექმნან ან ჰიპოთეზა გამოთქვან. ეს მოითხოვს ერთი იდეის აღებას და რაღაც ახლის შექმნას მისგან. ზოგადად, მათ უნდა შექმნან ნასწავლი ცნებისაგან განსხვავებული ახალი ცნება, ან გამოიყენონ უკვე ნასწავლი, რაღაც ახლის შესაქმნელად.

საკვანძო ზმნები: აგება, ცვლილება, შედგენა, კონსტრუირება, შექმნა, გამოგონება, მაქსიმიზირება, მინიმიზირება, მოდიფიცირება, დაგეგმვა, დაწყება, ვარაუდი, გადაჭრა, ტესტირება და ა.შ.

ცხრილი 2: კურიკულუმის რუკა (მაგალითი 2)

პროგრამის სწავლის შედეგები	კურსი A	კურსი B	კურსი C	გამოცდილება/ აქტივობა D	რამდენი სასწავლო კურსი ეხმარება სტუდენტს გავიდეს პროგრამის სწავლის შედეგზე
პროგრამის სწავლის შედეგი N 1	I		P	M	3
პროგრამის სწავლის შედეგი N 2	I		P	M	3
პროგრამის სწავლის შედეგი N 3					0
პროგრამის რამდენ სწავლის შედეგს უვითარებს კურსი სტუდენტს	2	0	2	2	

კურიკულუმის რუკაში გაწერილი პროგრამის ყველა სწავლის შედეგის პერიოდული მონაცვლეობით შეფასება წარმოადგენს ხელისშემწყობ ფაქტორს კურსებისა და

პროგრამის სისტემურ დაგეგმვაში, რაც სხვადასხვა სწავლის შედეგის შეფასების და გარკვეული პერიოდის შემდეგ ყველა შედეგის დაფარვის საშუალებას იძლევა.

3. სწავლის შედეგების შეფასება

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გულისხმობს შეფასების აქტივობების დაგეგმვას, შეფასების განხორციელებას, მიღებული მონაცემების შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს.

აღსანიშნავია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება განსხვავდება სასწავლო კურსებში გაწერილი სტუდენტთა შეფასებისგან (აკადემიური მოსწრების შეფასება ქულების მინიჭებით). ცალკეულ სასწავლო კურსში ინდივიდუალური სტუდენტის მიერ მიღებული ქულა გვიჩვენებს კონკრეტულად ამ სტუდენტის მიღწევებს, ხოლო სასწავლო კურსის ფარგლებში ჯგუფის მიერ მიღებული შეფასებების შედეგების ანალიზი საშუალებას გვაძლევს შევაფასოთ კონკრეტულად ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიწევის დონე. ამ შემთხვევაში ჩვენ ვფოკუსირდებით კონკრეტული სასწავლო კურსის ცოდნასა და უნარებზე, და არა საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებზე, რაც ხშირად სტუდენტისგან მოითხოვს საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სხვადასხვა სასწავლო კურსებში მიღებული ცოდნის ინტეგრირებასა და გამოყენებას. მაგ. კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა ან გუნდური მუშაობა შეიძლება ფასდებოდეს სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში, მაგრამ ამ უნარების როგორც საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შეიძლება დაგვჭირდეს შეფასების სხვა მეთოდებიც, რაც მოგვცემს განსხვავებული ტიპის მონაცემების შეგროვებისა და შემდგომში მათი განზოგადების საშუალებას. აქედან გამომდინარე, რეკომენდებულია თითოეული სწავლის შედეგი შეფასდეს ერთზე მეტი მეთოდით პროცესის საიმედოობის გაზრდის მიზნით.

სტუდენტთა დახარისხება (რანჟირება), რაც სწავლის პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია, პირდაპირ კავშირშია და უფრო მეტიც შემუშავებულია კრედიტების

ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) ფარგლებში. იგი თავის მხრივ თანხვედრაში მოდის გაუსის ნორმალურ განაწილებასთან, რაც მდგომარეობს შემდეგში: საუკეთესო სტუდენტთა რაოდენობა, რომელთა შეფასებაა - A, არ უნდა აღემატებოდეს საერთო რაოდენობის 10%-ს, ხოლო დანარჩენი (B, C, D, E) პროცენტული წილი კი გადანაწილებულია 25%-30%-25%-10%. სტუდენტთა დახარისხების მიხედვით სტუდენტების ძირითადი მასის მოსწრება უნდა იყოს საშუალო, შესაბამისად ძალიან მაღალი და დაბალი მოსწრება კი უნდა ჰქონდეს სტუდენტთა 10-10%-ს. აღნიშნული დიაპაზონიდან 20%-იანი გადახრის შემთხვევაში გადაიხედება სწავლის შედეგები და მისი მიღწევის გზები.

სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასებისთვის გამოიყენება პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასებათა მეთოდები:

- პირდაპირი შეფასებისათვის: წერიტი/ზეპირი გამოცდა/გამოკითხვა, პრეზენტაცია, რეფერატი, პრაქტიკული პროექტი და სხვ.
- არაპირდაპირი შეფასებისათვის: დასაქმების მაჩვენებელი და ხელფასები, კურსის ქულები და პროგრამის დასრულების მაჩვენებელი, სტუდენტების, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებლების გამოკითხვა, კურიკულუმის ანალიზი და სხვ.

პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ეფექტური საშუალებაა რუბრიკა, რაც განსაკუთრებით ქმედითი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, როცა ქულა დეტალურად ვერ წარმოაჩენს სტუდენტის მიერ შესრულებული აქტივობის ამომწურავ უკუკავშირს. იმ შემთხვევაში, როცა ქულები შეესაბამება რუბრიკებს, ის იდენტიფიცირებას ახდენს სტუდენტის სუსტი და ძლიერი მხარეებისა. შესაბამისად, რუბრიკა წარმოადგენს ეფექტურ საშუალებას განმავითარებელი და შემაჯამებელი შეფასებებისთვის. არსებობს შეფასების კრიტერიუმების წარმოდგენის ფორმის ორი ტიპი: ანალიტიკური და ჰოლისტური რუბრიკები, სადაც თითოეული მათგანი მოიცავს კრიტერიუმებსა და კრიტერიუმების შესაბამის ქულას.

ჰოლისტური რუბრიკა გვაწვდის ზოგად ინფორმაციას სტუდენტის სწავლის მაჩვენებელზე, ანალიზებს შესრულების მთლიან მაჩვენებელსა და წარმოაჩენს შესრულების დონესთან შესაბამისობას.

A	სანიმუშოდ იყენებს განსაზღვრულ უნარს; სანიმუშოდ ავლენს მკაფიო დასკვნებს ანალიტიკური და მტკიცებულებათა სინთეზის საფუძველზე.
B	კარგად იყენებს განსაზღვრულ უნარს; კარგად ავლენს მკაფიო დასკვნებს ანალიტიკური და მტკიცებულებათა სინთეზის საფუძველზე.
C	დამაკმაყოფილებლად იყენებს განსაზღვრულ უნარს; დამაკმაყოფილებლად ავლენს მკაფიო დასკვნებს ანალიტიკური და მტკიცებულებათა სინთეზის საფუძველზე.
D	არასაკმარისად იყენებს განსაზღვრულ უნარს; არასაკმარისად ავლენს მკაფიო დასკვნებს ანალიტიკური და მტკიცებულებათა სინთეზის საფუძველზე.
E	არ იყენებს განსაზღვრულ უნარს; არ ავლენს მკაფიო დასკვნებს ანალიტიკური და მტკიცებულებათა სინთეზის საფუძველზე.

ანალიტიკური რუბრიკა კონცენტრირდება სტუდენტის შესრულების კონკრეტულ მიმართულებებზე, რაც თავის მხრივ კავშირშია შესრულების ინდიკატორებთან. მიმართულებები წარმოდგენილია ცალკეულ კატეგორიებად, ხოლო შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, შესრულების მაჩვენებლები კი ფასდება დამოუკიდებლად. ანალიტიკური რუბრიკა მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს აბსტრაქტული თეორიებისა და პროცესების შესაფასებლად. იგი საშუალებას იძლევა წარმოჩინდეს სტუდენტის ძლიერი და სუსტი მხარეები; ასევე, რეკომენდირებულია პროგრამის განსავითარებლად დეტალური უკუკავშირის მიღებისას.

	სანიმუშო	კარგი	დამაკმაყოფილებელი	განსავითარებელი	არასაკმარისი
უნარი 1					
უნარი 2					
უნარი 3					

შეფასების შედეგები გამოიყენება არა მხოლოდ ინდივიდუალურად სტუდენტის შესაფასებლად ან კონკრეტული კურსის დასახვეწად, არამედ სრულად პროგრამის გასაუმჯობესებლად.

რაც შეეხება პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, მასზე პასუხისმგებელია პროგრამის პროგრამის კომიტეტი, რომელიც სწავლის შედეგებს აფასებს შემდეგი გეგმის მიხედვით:

პროგრამის სწავლის შედეგები	როგორ/სად ვასწავლით	როგორ ვაფასებთ (რუბრიკა/გამოკითხვა და ა.შ.)	შედეგების შეჯამება	შედეგების გამოყენება	სამომავლო გეგმა
1.					
2.					
3.					

აღსანიშნავია, რომ სწავლის შედეგების შეფასება არ არის მხოლოდ კურსის განმახორციელებელი ლექტორის ან ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა. ეს არის ჩართულ მხარეებს შორის გაზიარებული პროცესი და შესაბამისად ყველა მათგანის პასუხისმგებლობა.

4. სწავლის შედეგების გაუმჯობესება

სწავლის შედეგების გაუმჯობესება ხდება წინასწარ დადგენილი სამიზნე ნიშნულების და მიღებული შედეგების შედარების საფუძველზე. სამიზნე ნიშნულებზე დადარებისთვის განისაზღვრება სტუდენტთა საერთო რაოდენობიდან რამდენმა პროცენტმა მიაღწია პროგრამის თითოეულ სწავლის შედეგს.

სამიზნე ნიშნულად ითვლება აკადემიური მოსწრების ნორმალური განაწილება, სადაც 20%-იანი გადახრის შემთხვევაში ხორციელდება სწავლის შედეგებისა და მისი მიღწევის გზების გადახედვა. მაგალითად: სწავლა-სწავლების მეთოდები, თემატიკა, მოცულობა, კრედიტების/საათების განაწილება დროში, ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობა, სასწავლო პროცესის ორგანიზების თავისებურებები, შეფასების ფორმები და მეთოდები და სხვ.

სამიზნე ნიშნულებთან დადარება ხორციელდება მონიტორინგის შედეგებით, რაზეც თვალსაჩინოებისთვის აიგება დიაგრამა სწავლის შედეგების მიღწევის პროგრესზე ან რეგრესზე დაკვირვების მიზნით.

მოცემული სწავლის შედეგებისა და სემესტრული შეფასების გეგმის საფუძველზე ხორციელდება თითოეული სწავლის შედეგის გაზომვა. მისი პერიოდულობა განისაზღვრება სემესტრის ბოლოს, იმის მიხედვით, თუ როდის დადგა აღნიშნული სწავლის შედეგი. სწავლის შედეგების შეფასება ეყრდნობა კურიკულუმის რუკას და მის საფუძველზე შემუშავებულ სწავლის შედეგების შეფასების გეგმას, სტუდენტთა მიღწევებს, გამოკითხვის შედეგებს, შედეგებისა და სამიზნე ნიშნულის შესაბამისობას.

იმ შემთხვევაში თუ სამიზნე ნიშნულებთან დადარებისას გამოვლინდა რეგრესი (დინამიკაში განხილვის შედეგად), მაშინ ხდება სწავლის შედეგებისა და მიღწევის გზების გადახედვა და შესაბამისად პროგრამის მოდიფიცირება.